წელიწადი მეჯ[illegible] ... პარასკევი, 30 დეკემბერი

საქართველო

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **ფასმატეხით** 7 კ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი [illegible] ნაწილ-ნაწილად

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] ... 10 [illegible] ... ტი ტექსტის [illegible] ... 2 [illegible] 4 მ. 2 [illegible] 5 მან.

[illegible] ... **დაჭერა და კანტორა იმყოფება თბილისის ძ. ქნ. [illegible]ის სახლში.**

№ 519 — ეროვნული საპოლიტიკო და საალიტ[illegible]ური გაზეთი. — № 519

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ., **ცალკე ნომერი** 7 კ.

თვიური ეხლის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ-ნაწილადაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
დეპეშისათვის: ქუთაისი „საქართველო".

რედაქტორი—**ი. თ. ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „საქართველო".**

შაბათს, 31 დეკემბერს, სოფელ ზედა ქვიტირის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი ძვირფასი გარდაცვალებულთა და უდროოთ დაკარგულთა

ალექსანდრა და შუშანიკას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ყარამან და მენიკი მათი შვილებით იულია, მარიამი, ზინა და რაჟდენი; ბიძა, ბიკოლა: ანტონი და მატა; ბიძაშვილები: ბიკტორ, მიშა, აკაკი, სამსონ და პარმენ იმედეიშვილები. 1—1

მშობლები: ივლიტე, ფირანის ასული და იულიონ მაქსიმეს ძე ჩხაიძე შვილებით, კოლია, ნინა, ბარბალე, დათიკო და ვარლამი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, უდროოთ გარდაცვალებულ ოდესის ფიზიკო მათემ. ტიკური ფაკულტეტის სტუდენტის

შალვა იულოს ძე ჩიხლაძის

სულის მოსახსენებელად გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი 31 დეკემბერს, დილის 11 საათზე, საფიჩხიის ეკლესიაში.

თეკლე გიორგის ასული გამრეკლიძისა

გარდაიცვალა 27 დეკემბერს, ღამით, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ პოდპოლკ. ვაჟები ვარდენ და ვლადიმერი ლუკას ძენი გამრეკლიძეები; ქალიშვილები ალექსანდრა გოგოლაშვილისა და ვალენტინა ზდანევიჩისა ოჯახობით და რძალი ნინა პეტრეს ასული გამრეკლიძისა. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, ხოლო გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 31 დეკემბერს საღამოს 4 საათზე, ძველი თბილ. ქუჩა საკ. სახლიდან. 3—2

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დიდით 12½—2 საათ. სადამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

ექიმი ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანი განსაზღვა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დიდის 11—2 საათამდე, სადამოს 6—8 საათამდე. ბუშეინისა და ბალდახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, სადამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდ. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსროო ჯაფარიძისა,

ექიმი ... ავადმყოფებს ... 2—3 ... 6—8 ... 70 ... ჯაფარიძისა,

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმ. ბ. მიწის ... ...

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. გალიციაში ორივე მხრით იერიშებს აწარმოებენ.

კავკასიის ასპარეზი. სპარსეთში ოსმალებმა რუსებს 50 ვერსის მანძილზე უკან დაახევინეს.

რუმინიის ასპარეზი. პუტნა-სერეტის ბრძოლის ხაზზე რუს-რუმინელები ახალ პოზიციებზე გადმოვიდნენ. მდ. კასინის ველზე რუმინელებს ავსტრიელებმა უკან დაახევინეს. მდ. ოიტუზის სამხრეთით რუმინელებმა მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს.

კავკასიის ასპარეზი.

ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი სროლაა ნამქერებია და რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ სთოვს.

27 დეკემბერი

პეტროგრადი. დასავლეთვთის ასპარეზი. ტირულის ტბის ჩრდილო-დასავლეთის კიდეზე მტრის ხოფელი დავიპყარით და ცხარე ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ბაბიტის ტბის დასავლეთ კიდეებზე ს. კალნცის ჩრდილო-დასავლეთით მტრის თხრილი. ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები, სანგრის ზარბაზნები და მძიმე ბატარეა. მტრის გაცხარებული იერიშები მოვიგერიეთ. ბაბიტის ტბის სამხრეთით 23 დეკემბერიდან დაწყებულ ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ 15 ზარბაზანი და 800 ტყვე. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კოველს, სოფ. გოლოეს, კოველის სამხრეთ აღმოსავლეთით 30 ვერსზე, ზაბოტცეს სადგურს, ბროდის დასავლეთით, და დაბა იასმოვს, ბროდის სამხრეთ დასავლეთით, სბოროვის ჩრდილოეთით. პერეპელნიკის აღმოსავლეთით მყოფ ჩვენს ჯარს მოპირდაპირემ ძლიერი ზარბაზნების დაშენის შემდეგ ორჯელ შემოუტია, მაგრამ ორივეჯერ სროლით შევაჩერეთ. ნოვოსელკის მიდამოებში. დაბა კრეკოს სამხრეთით, მოპირდაპირემ მოშზამულ გაზებით გატეხილი ყუმბარები სამჯერ დაგვიშინა, თან ზარბაზნებით და ნაღმისტყორცნელებით გვებრძოდა. მაგრამ მოვიგერიეთ.

რუმინიის ასპარეზი. ზარბაზნების მედგარი სროლის შემდეგ მოპირდაპირე დილით იერიშით წამოვიდა პეცესჩიზე, ფოშქანის ჩრდილო-დასავლეთით, და რუმინელებს უკან დაახევინა. მარქაფა ჯარი მოვაშველეთ და მტრის წინსვლა შევაჩერეთ.

პენტეჩესჩის მიდამოებში მოპირდაპირე მეჩიდროდ დარაზმული იერიშით წამოვიდა, მაგრამ ძლიერი სროლით შევხვდით და უკანვე გავაბრუნეთ. მტერმა ბევრი დახოცილები და დაჭრილები ადგილობრივ დასტოვა.

მდ. სერეტზე, მდ. ბუზეოს შესართავიდან 8 ვერსზე, ოლენსკის ჩრდილოეთით და მიხაილთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ურმიის მიდამოების მთებში ნამქერებია. სპარსეთში 22 დეკემბერს, პეკილაბადიდან მოპირდაპირე გავდეევნეთ, იმავ დროს ოსმალებს მაშკელი ჯარი მოუვიდათ ქამადანის მიდამოებიდან, შემოგვიტიეს გაცილებით მრავალრიცხოვან ჯარით და ჩვენს ჯარს დოვლეთ აბადის ჩრდილო აღმოსავლეთით 50 ვერსზე დაახევინა, ჯერ დოვლეთ-აბადში და მერე დიჩ-აბადში.

28 **დეკემბერი.**

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ბაბიტის ტბის სამხრეთით, რიგის დასავლეთით, გერმანელებმა ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, შემოგვიტიეს სოფ. კალნეცის მახლობლად, მაგრამ სროლით და სამაგიეროდ იერიშით უკუვაგდეთ. ჩვენმა ჯარმა ზარბაზნის დაშენის შემდეგ, დილის 11 საათზე შეუტია მდ. დვინაზე მდებარე კუნძულზე დაბანაკებულ გერმანელებს. გლაუდანის აღმოსავლეთით და დვინსკის ჩრდილოეთით ჩვენი იერიში ისეთი სწრაფი იყო, რომ გერმანელები გაიქცნენ, კუნძული ჩვენმა ჯარმა დაიჭირა; კუნძულზე ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი, 4 ყუმბარისმტყორცნელი და 17 ტყვე. შელვოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სანგრებშივე მივაბრუნეთ. 26 დეკემბერს საღამო ხანზე მტრის მფრინავებმა ლუცკს ყუმბარები დაუშინეს.

რუმინეთის ასპარეზი. მდ. ოიტუზისამხრეთით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. მონესტირკას დასავლეთით 6 ვერსზე, მდ. კასინზე, კაშინლუს მიდამოებში მტერმა შემოუტია რუმინელების ჯარს და უკან დაახევინა, რუმინელებმა მტრის იერიშები მოიგერიეს მდ. სუშიცაზე რეკოსის მიდამოებში.

ჩვენი ჯარი, მტრის შემოუტევლად, გადავიდა ახალ ხაზზე პუტნა სერეტის

აგრონომთა თათბირი.

მეფის ნაცვლის განკარგულებით 14 და 15 დეკემბერს თბილისში შესდგა თათბირი გუბერნიის საერობო ყველა აგრონომებისა. ამ თათბირზე განხილულ იქნენ ის ზომები, რომელთა საშუალებით ყველგან უნდა მოხერხდეს ნათესების გაფართოება.

და სხვა და სხვა წვრილმან საკითთათბირზე მიღებულ იქნა შემდეგ-ულებანი ქუთაისის გუბერნიის შე-

უბერნიის ადგილობრივ კოოპერაგამხესხებელ და სასოფლო სამეზოგადოებებთან დ ამხანაგოდა მოეწყოს სამეურნეო იარაობები („прокатные Пункрომ საკმარისი იქმნეს. ადგილობრივი სათესლე მასალა, დაუყონებლივ უნდა დაკმაყოფილდეს სოფელი შემოტანილ საკვები სიმინდით.—ამის განსახორციელებლათ საჭიროა მიმართონ მაზრის აგრონომებს, რომ მათ ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან ერთათ გამოარკვიონ ვარ-ოდენობა საჭიროება შემოსატან სიმინდისა.

3. მიღებულია სწრაფი ზომები საქონლის ვადამდე სენის წინააღმდეგ.

ა) აღძრული იქნა შუამდგომლობა, რომ ბეითალთა პერსონალი გადიდებულ იქ-ნ[illegible] ბეითალთა და სტუდენტ-ბეითა-[illegible]ნეველით.

ბ) შეძენილი უნდა იქნეს 500 სული მსხვილ ფეხა საქონელი და მათგან იქნეს მომზადებული აქაურ საქონლისთვის საჭირო ასაცრელი შრატი („сыворотка“)

გ) ბეითალთ რომ გაუადვილდეთ მუშაობა, საჭიროა დახოცილ საქონლის ასანაზღაურებელ ფულის დარიგება დაეკისროთ სხვა თანამდებობის მოსამსახურეთ.

დ) ასანაზღაურებელი ფასები სენით დახოცილ საქონლისა გადიდებულ იქნეს 100 პროცენტით.

ე) ანაზღურება სწარმოებდეს სწრაფათ.

ამ დებულებების მიხედვით გუბერნიის საერობო აგრონომის მოვალეობის აღმასრულებელმა ბ-ნ. ა. მ. ვასილევსკიმ დაავალა მაზრის ყველა აგრონომებს, რაც შეიძლება მალე 1. შეადგინონ სია იმ ადგილების, სადაც სასურველია მოეწყოს სამეურნეო იარაღის საწყობები (прокатные пункты), 2 აღნუსხონ ამ საწყობების შემადგენლობა (რა და რა იარაღია საჭირო), 3. შეეკითხონ რაც შეიძლება მოკლე ხანში კოოპერატიულ, გამსესხებელ და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, თუ სად უფრო საჭიროა და რამდენია საჭირო ვარაუდით საკვები სიმინდი. ამასთანავე საჭიროება მოითხოვს გარკვეული იქნეს, თუ რკინის გზის რომელი სადგური უფრო მარჯვეთაა ამა თუ იმ კუთხისთვის, რა დრომდე იქნება საკმარისი საკუთარი საკვები სიმინდი და სად რომელი დრო უფრო ხელსაყრელია სიმინდის მისაწოდებლად.

ყველა ეს ცნობები აგრონომებმა უნდა მიაწოდონ საერობო აგრონომების თათბირს, რომელიც მოხდება 3 იანვარს.

აგრონომი.

ისტორიის დაცინვა.

ეროვნებას,—როგორც ყოველგვარ ცოცხალ ორგანიზმს,—ორი მომენტი ახასიათებს: პასიური და იქტიური. პირველ მომენტში ის საკუთარი სიცოცხლის შერჩენაზე—ზრუნავს. თავდაცვის აღდგომ შემოფარული აქვს, რადგან შემომქმედი ნებისყოფის გამოჩენა არ ძალუძს. ზედამხედველიც სჭირია ამ ასაკში მყოფ ეროვნებას, თორემ საკუთარი ძალ-ღონით, ულმობელი მოვლენათა წინააღმდეგ ვერაფერს გაჯთება. ცოდვილობს იგი საოცარ ს შემძლეობით, წელზე ფეხს იდგამს, სულიერს თუ ნივთიერ ენერგიას ძალუმად ამწიფებს თავის არსებაში. მთელ მსოფლიო ეგოისტური სარგებლიანობით ზომავს. ასეთ ეროვნებას მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი სიტყვები და ნამყო დროის აღმნიშვნელი ზმნებიც არ აქვს შემუშავებული. მისი ცხოვრება განისაზღვრება „მე“თი, მისი მოქმედება წარმოებს მხოლოდ აწმყოში. ხოლო მომავალს პოტენციალი ბუნებით ჰქმნის. ზიანს ვერავის მიაყენებს და ვერც იფიქრებს მაზე, მაგრამ არც სარგებლის მოტანა შეუძლია სხვისთვის.

სულ სხვაა, როდესაც ერი აქტიურად დავაჟკაცდება. ამ მომენტში მას საკუთარი სიცოცხლის, როდი ეშინია და არც ვისიმე ზედამხედველობა სჭირია! შემომქმედი ნებისყოფით ზვიადს, მსოფლიზედველობის ტატნობი თანდათან უფართოვდება. [illegible] თავმოყვარეობით [illegible]ილდოებულს, კარჩაკეტილი ცხოვრების რცხვენია, და თავის ოჯახში მომარაგებულს, საერთაშორისო საქმეებზე უცქერს გული. ცდილობს თავისებური სახით შევიდეს და საკუთარი წვლილიც შეიტანოს საკაცობრიო პანთეონში. ხშირად მის ჯანსაღ სხეულს სისხლი მოერევა, ხოლმე თავს ვერ შეიკავებს და ვინმეს ჩაწიხლავს კიდეც, მაგრამ მოჭარბებულ ენერგიას, თუ პროგრესიული სულიც თან ვისდევს ყოველგვარი დანაშაულის ანაზღაურებაც შეუძლია.

ვფიქრობდით, ეს ორი მომენტი ეროვნების ასაკობისა, ქართველებს განვლილი ვგქონდა, მაგრამ რაღაც ას ხუთმეტი წლის ისტორიამ ყველაფერი საეჭვოდ გახადა. ენაც გვაქვს, სამშობლოც მოგვეპოება, (თუმცა აჭრელებული), პოლიტიკურ-ისტორიული წარსულიც ხანგრძლივი და მთვარესავით სავსედ გამოიყურება, წმიდა ქართული სულიერი ცხოვრებაც შეგვინახავს; ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც აუცილებელია ეროვნებისათვის მზათაა; მაგრამ დღეს შიგნიდან და გარედანაც გვეუბნებიან: სიზმარეთში ხართ, ზღაპრებს გვიქარავთო!

მარტო აქ როდი გაჩერებულა ქართველები, მარტო თავიანთ ოჯახში როდი უმუშავნიათ. ხმელთა შუა ზღვიდან მოყოლებული კავკასიის კალთამდე ძველებით მოუკირწყლავთ არემარე და ამ უკანასკნელ საკანში თავშეფარებულთ „ოქროს ხანა“ შეუძენიათ კაცობრიობის თვის. რამოდენიმე საუკუნე შუამავლად იყო ეს მრავალტანჯული ერი აზიასა და ევროპას შუა; ორი, ერთმეორის წინააღმდეგ წამოპირქვავებულ პოლიუსს არიგებდენ ივერიის ძენი. და ორივესი უჯიათი სული ისე გადაახალისა თავის არსებაში, რომ ქართული მონასტრის ნგრეული თაღებიც კი ნათლად გვიჩვენებენ თუ ვის რა ეკუთვნის. რაინდული ლაშქრობაც გვახსოვს მუსლიმთა ნახევარი მთავრის წინააღმდეგ. აღმოსავლეთური კრძალვაც გვახსოვს ქართული დროშის წინაშე, მაგრამ დღეს იძულებულს გვხთიან ეს გძელი მოთხრობა ბრაკისებურათ დავიწყოთ: „იყო და არა იყო რაო...“

საერთაშორისო საქმეებს აბა ვინ გვეკითხება; ასეთს შორს არც ჩვენ მივდივართ, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ თავზე ფიქრიც აკრძალული გვაქვს. ენა, რომელზედაც ჯერ კიდევ XII საუკ. ღრმა ფილოსოფიურ-მეცნიერული აზრები შთავნერგეთ, დღეს საძებრად გაგვხთომია. სამშობლო, რომლის ყოველ ნაბიჯზედაც ივერიელთა სისხლ შეუშრობელი თავის ქალაა ჩამარხული, უცხოსავით გვიყურებს. ეროვნული ცხოვრების სხვა დარგზე ის თუ ითქმის, რასაც „უცხო, უცხოთა შორის“ ჰქვია. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ნეტავი ის რითი აიხსნება, რომ ამ მდგომარეობაში მყოფნი სიმძიმის ცენტრს ჩვენს თავზე არ ვაისრულებთ?! სადღაც შორს, რომ ვიყურებით და ვიღაცეებიდან, რაღაცეებს მოველით ეს რისი ნიშანია? სჩანს ასაკობის პირველი ხანაც არ გაგვივლია! ეს ქართული ტრაგიზმი პირველად სოლომონ ლეონიძემ იგრძნო ზურაბ წერეთლის სახით „ეი ადამ, არ იქნება! თუ კაი მონარდე ხარ იაგანში დუშაში ითამაშე. მართალია დიდი კაცი ხარ, ათასი კვამლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის ქარტა, რომ არის დახატული, თუ კაცი ხარ იმაში ან შენს საჩხერეს იპოვნი, და ან შენს სასახლეს მიაგნებ, თუ სად ზიხარ ან სა და გძინავს“. ხომ სიტყვა-სიტყვით შეიძლება იგივე ითქვას დღევანდელ ქართველზე იმ განსხვავებით, რომ საჩხერეს ალაგას მთელი საქართველო ვიგულისხმოთ? ეი ამას ჰქვია ისტორიის დაცინვა!

ვენე.

ცვლილება სამინისტროში.

(ბუტ. დეპ. სააგ.

პეტროგრადი. 27 დეკემბ. უმაღლესი უქაზი მიცემული სახელმწიფო საბჭოსადმი.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ჩვენი სახლის ჰოფმეისტერს ნერატოვს უმოწყალესად ვუბრძანებთ სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნას, ჰოფმეისტერის ხარისხში დარჩენით.

ჩვენს სტატს სეკრეტარს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, ეგერმეისტერს ტრებოვს თხოვნის მიხედვით უმოწყალესად ვანთავისუფლებთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისა და საგზაო საქმეთა მინისტრობისაგან, სენატორისა, ეგერმეისტერისა და სტატს სეკრეტარის ხარისხში დატოვებით სახელმწიფო საბჭოს წევრს დ. ს. ს. თავად გოლიცინს უმოწყალესად ებრძანება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, საბჭოს წევრის და სენატორის ხარისხში დატოვებით. ჩვენი სასახლის შტალმეისტერს დ. ს. ს. ვრაფ იგნატიევს თხოვნის მიხედვით უმოწყალესად ვანთავისუფლებთ სასახლეთა განათლების მინისტრობისაგან, შტალმეისტერის ხარისხში დატოვებით, სენატორს ტ. ს. კულჩიცკის უმოწყალესად ებრძანება სახალხო მინისტრად ყოფნა სენატორად დატოვებით.

ნამდვილზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარ ხელ[illegible]

[illegible]

ახალი ამბავი.

✦ დასავლეთ. საქართველოს მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი ამ დღეებში მიიღებს „კინემატოგრაფიულ“ სამეურნეო სურათებს. სურათები დაეგზავნება ქუთაისის გუბერნიის სამაზრო აგრონომთ რომლებიც „აპარატის“ საშვალებით აჩვენებენ ხალხს და განუმარტავენ მათ მნიშვნელობას.

✦ 3 იანვარს ქუთაისის გუბერნიის აგრონომთა კანცელარიის შენობაში შესდგება საერობო აგრონომთა და ინსტრუქტორების სიეზდი, სიეზდზე მოწვეული არიან აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივთა წარმომადგენლები.

✦ ადზუბის სასოგადოების (აფხაზეთი) მცხოვრებლებმა დაადგინეს გახსნან პრაქტიკული სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, ამის გამო შუამდგომლობით მიმართავენ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომს, რათა იშუამდგომლოს სამეწყალ-მოქმედო დეპარტამენტის წინაშე სხსენებული ტიპის სასწავლებლის ნებართვის შესახებ.

✦ იანვრის რიცხვებში ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქცია გამოსცემს ცნობილი კოოპერატორის ხეისინის თხზულებას: „ორმოცდა ათი წელიწადი მომხმარებელი კოოპერაციისა რუსეთში“. ამ წიგნს ჟურნალის ხელის მომწერლები უფასოთ მიიღებენ.

✦ კოოპერატიული ჟურნალის „კოოპერაციის“ მორიგი ნომერი გამოვა 6 იანვარს.

✦ დღეს სადმოს 8 საათზე შესდგება „რეგულიატორის“ გამგეობის მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება მიმდინარე საკითხები.

✦ სოფლებიდან შემოტანილი შეშა ამ ქამათ იყიდება ურემი 6 მან-დან 12 მანდე.

✦ ქუთაისის დრამატიული დასი, რომელიც დაბა სამტრედიაში წარმოდგენის გასამართავად იყო წასული გუშინ ქუთაისს დაბრუნდა.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში თან და თან მრავლდება უვარგის საპნის მკეთებელთა რიცხვი. მათ მიერ დამზადებული საპონი სარეცხს სწვავს და აფუჭებს, მიუხედავად ამისა მათ ყურადღებას არავინ არ აქცევს.

✦ რედაქციამ მიიღო სამეცნიერო ბედა გოგიური ჟურნალ „განათლების“ დ სამავშო ჟურნალ ჯეჯილის მორიგი ნომერი.

✦ სოფელ ქვალონის მახლობლად (სენაკის მაზრა) დაბურულ ტყეში, დარაჯებს აღმოუჩენიათ ყაჩაღთა ბინა და აუტეხიათ სროლა, როგორც გადმოგვცემენ მოკლული არის ორი ყაჩაღი, ერთი მათგანი ყოფილა ცნობილი ბოროტ-მომქმედი გეგენავა. დარაჯების მხრივ ზიანი არავის მოსვლია.

✦ დეკემბრის ბოლო რიცხვებში დამთავრდა სოხუმისა და ფოთის სამღვდელოების კრება. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ კრებას მსჯელობა ჰქონია სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობაზე, ხოლო ქართული ეკლესიის თვითმწყსობის საკითხის შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს.

✦ დ. ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ რომ იქ წ. კ. ს. განყოფილებას დაუარსებია საკვირაო სკოლა, მეცადინეობა უკვე დაუწყიათ, მოწაფეთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 50 დე აღწევს, სწავლა უფასოა.

✦ ქალაქის თვითმართველობის დავალებით ფოთში გაემგზავრა სასოფლო-სათ კომისიის თავმჯდომარე ბ ნი [illegible] ბურის ფქვილის შესაძენად

გადასახადი შემოსავლზე.

პირველ იანვრიდან, ძალაში შედის შემოსავალზე გადასახადი.

კანონ-პროექტი შემოსავალზე გადასახადის სახელმწიფო საათბიროში 1907 პირველ ნახევარში შეტანილ და იქ განიხილა მან თითქმის ათი წელიწადი. შეიძლება ბევრად მეტი ხანი გაჩერებულიყო იგი, რომ ომი არ დაწყებულიყო. დიდი საჭიროების გამო მან, განსვენებულმა, მოძრაობა დაიწყო, განხილულ იქმნა და კიდეც დაკანონდა.

შემოსავალზე გადასახადი ახალი გადასახადია. იგი აქამდი რუსეთში (ფინლანდიის გარდა) დაწესებული არ ყოფილა. იგი, როგორც ყველა გადასახადი, გადამხდელისთვის მატერიალური მდგომარეობის შემავიწროებელია; ვამბობ გადამხდელისთვის და არა ხალხისთვის, რადგან ეს გადასახადი ეხება შემძლე პიროვნებათ და არა ღარიბ ხალხს. გადასახადი იწყობა 800 მანეთის შემოსავლიდან. ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს წელიწადში, იგი გადასახადიდან თავისუფალია.

ამის გამო შემოსავალზე გადასახადი უფრო სინდისიერია გადასახათა შორის.

შემოსავალზე გადასახადი ორ ნაირია:

1, გადასახადი ყოველნაირ შემოსავალზე—ერთი ყველა გადასახადის მაგიერ.

2, შემოსავალზე გადასახადი, როგორც დამატებითი გადასახადი.

რუსეთში, როგორც მთელ ევროპაში, ეს მეორე ფორმა გადასახადისაა შემოღებული.

შემოსავალზე გადასახადი დაფუძნებულია გადამხდელის განცხადებაზე, თუ როდენი შემოსავალი აქვს მას. ძრიელ დიდი სინდისიერი უნდა იყოს კაცი და მაღალი მოქალაქის ცნობიერება უნდა ქონდეს მას, რომ წრფელი სიმართლე განაცხადოს თავის ხელში არსებულ კაპიტალზე. ან თავისუფალ პროფესიის შემოსავალზე.

ამგვარად სრულ გადასახადს გადაიხდის პატიოსანი კაცი. ნაკლები ღირსების კაცი კი უფრო ნაკლებ გადასახადს გადიხდის აქედამ გამოდის, რომ თვით პატიოსნებაზე, როგორც ობიექტზე, დაწესებულია გადასახადი და იგი გადასახადთა სისტემას ექვემდებარება

გადასახადის მიცემა არავისთვის სასიამოვნო არ არის უმეტეს ნაწილისთვის კი იგი დამალვის და ეშმაკობის საკითხია. ყველა ცდილობს, თუ კი რამით შეიძლება, თავიდან აიცილოს გადასახადების მიცემა. კაცი ყოველ ღონის ძიებას ხმარობს გადასახადი ან არ გადაიხადოს, ან ნაკლები გადაიხადოს. ამ გვარი ცდა ეტყობა უფრო აქციზის გადასახადს, დამოწმის გადასახადს, აგრეთვე გერბის, მემკვიდრეობის და სხვა ამ გვარ გადასახადებს. ამ შემთხვევებში აჩუქთ სჩანს გადამხდელის სურვილი რითაც კი შეიძლება თავი დაიწიოს გადასახადებს.

ამის გამო სამზღვარ გარედ დიდი მოქმა-მოთქმა გამოიწვია ამ გადასახადის აწესებამ. ბევრი თხოულობდა, რომ საერთოდ გადმწიფოს, როგორც შეეძლო, თვით მეეკრიბა ცნობები მოქალაქის შემოსავალზე. მართებლობას ძრიელ უკიჟინებდენ, რომ იგი თვით გადამხდელისაგან თხოულობს განცხადებას თავის შემოსავალზე და თუ ყალბი ცნობები მიიღო სისხლის სამართლის კანონით ემუქრება. ამ გვარ მუქარას მათი აზრით სიმართლე არა აქვს.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გვარი ხელის ფათური გადასახადების მოხელეთაგან კაცის ქონებრივ მდგომარეობაში არავისთვის სასურველი არაა, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ეს მარტო შემოსავალზე გადასახადის პრივილეგია არ არის. საერთო გადასახადთა წყობილების წესია.

არც სავაჭრო გადასახადებზეა სასიამოვნო, რომ კერძო პირთა, სახელმწიფო მოხელეთა, სავაჭრო წიგნები ათვალიერონ, მაგრამ რა ვქნათ, რომ უამისოდ გადასახადის წესიერება დაიშლება.

ამ გვარი დეკლარაციების შეტანა მოქალაქეთაგან გადასახადთა ინსპექტორთან „არ ახალია—ძველია.“ ამავე ნაირად მამულის პატრონს ყოველ წელიწადს შეაქვს დეკლარაცია თავის მამულების შემოსავლის შესახებ.

ბ. ოგდიტელი.

დღევანდელ ეკონომიურ რეალოგის მსხვერპლნი.

...ია მონაცერი. სპეკულიანტები გამ...დენ, სირცხვილიდან ხელი აიღეს, ...არ ერიდებიან, მაგრამ უფრო ...ამწუხარო ისაა, რომ ამ უბედუ... მსხვერპლად ხელმოკლე ხალხი ... დღევანდელი ომის საშინელება მთე...ავის სიმძიმით ღარიბ ხალხს აწევს. ...ებულნი პირნი ასე, თუ ისე, ცხოვ...ას გაუძღვებიან ამ გაჭირვების დროსაც; ...თალია დიდად გაწვალდებიან, მაგრამ ...ა რა აქვს, ხარჯს არ დაერიდება, ...მან ეს ომის ხანა რამენაირად თა...ან გადიცილონ. ხელმოკლემ, ან ღა...რიბმა კი რაღა ქნას? რა ქნას მუშა ხალხმა? იგინი აქამდი დღიური შრომით ძლივს კვებავდენ თავის თავს და თავის ოჯახს და დღეს თუმცა მათ ჯამაგირი, ანუ ხელფასი 50—100 % გაძვირდა. რა ქნას სოფლის ხელმოკლე მემამულემ, რომელიც აქამდი ძლივს უძღვებოდა მტერ-მოყვარეს, ...ია მონაცერი. სპეკულიანტები გამ...დენ, სირცხვილიდან ხელი აიღეს, ...არ ერიდებიან, მაგრამ უფრო ...ამწუხარო ისაა, რომ ამ უბედუ... მსხვერპლად ხელმოკლე ხალხი ... დღევანდელი ომის საშინელება მთე...ავის სიმძიმით ღარიბ ხალხს აწევს. ...ებულნი პირნი ასე, თუ ისე, ცხოვ...ას გაუძღვებიან ამ გაჭირვების დროსაც; ...თალია დიდად გაწვალდებიან, მაგრამ ...ა რა აქვს, ხარჯს არ დაერიდება, ...მან ეს ომის ხანა რამენაირად თა...ან გადიცილონ. ხელმოკლემ, ან ღა...რიბმა კი რაღა ქნას? რა ქნას მუშა ხალხმა? იგინი აქამდი დღიური შრომით ძლივს კვებავდენ თავის თავს და თავის ოჯახს და დღეს თუმცა მათ ჯამაგირი, ანუ ხელფასი 50—100 % გაძვირდა. რა ქნას სოფლის ხელმოკლე მემამულემ, რომელიც აქამდი ძლივს უძღვებოდა მტერ-მოყვარეს, დღეს კი დიდი სიძვირის გამო, საყოფი სიმინდი და ლობიოც არა აქვთ და ნახევრად შიშველ-ტიტველნი არიან

ამ დღეებში რედაქციაში შემოვიდა ვასილ ლომინაძე მი...თის ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებას ქუთაისის მაზრის ერთ რაიონში ნივთიერ საშვალების დასვრიგებლად ღარიბთა აღწერა მიენდო. სხვათაშორის, აგვიწერა სოფლის დიდი სიღარიბე. მან გავითხრა, რომ ღარიბთა სიაში არცერთი ფეხშიშველა ოჯახი არ შემიტანიაო, ვისაც კი საკვები სიმინდი ამდენი აქვს, რომ ახალ მოსავლამდი გასტანსო. სიაში მე მარტო ის ღარიბები შევიტანე, რომელსაც არც საკვები აქვს და არც არავითარი საშვალება მოეძებნებაო. რითი და რანაირად ცხოვრობს ამგვარი ღარიბი ერთი ღმერთმა იცის!

აი ვინაა ობიექტი სპეკულიაციის და ვინ უნდა გადიტანოს თავის ზურგზე ქვეყნის ვაება.

სამრეწველო ქვეყნებში, სადაც დიდი ქარხნები მუშაობს, მუშა ხალხს თვისშორის რაიმე ორგანიზაცია აქვს, რომელიც ებრძვის თავის დუხჭირ მდგომარეობას და ცხოვრების მწარე მოვლენას. ჩვენში კი ამ გვარი ორგანიზაციები იშვიათია. მუშა და ნამეტნად ღარიბი ოჯახი თავის შიგნით ბედზეა დამოკიდებული და ცხოვრების გაჭირვებას უფრო სასტიკად განიცდის.

ბევრი საშინელი მოვლენა იყო აღნიშნული ჩვენ პრესაში, არა ერთხელ გაგვიფთხილებია მუშა ხალხი აფერისტებისაგან რომელნიც მუშებს ხან სარაკამიშისაკენ, ხან ეზრუმისაკენ და ხან ტრაპეზონისაკენ მიერეკებოდენ და როცა ადგილზე ჩავიდოდენ, მათ მშრალზე ტოვებდენ და მშრომელი ხალხი მშიერ მწყურვალე რჩებოდენ უცხო ალაგს.

№ 281 „თანამედროვე აზრის“ ერთი ამგვარი ამბავია მოთხრობილი, თუ რა დაატყდათ თავზე მოიჯარადრეთა წყალობათ სპარსელ მუშებს თფილისში. ენით არ გამოითქმება და კალმით არ აიწერებიო, ამბობს გაზეთი, ის ტრაგედია, რომელიც უპატრონოთ დაყრილმა სპარსელებმა მუშებმა აქ, ამ კავკასიის კულტურის ცენტრში განიცადეს. სპარსეთში მათ შეპირდენ სამუშაოს მაქოსა და თფილისში თვეში 60—100 მანეთი ჯამაგირი, მაგრამ რაკი ჩასვეს გემში, ყველაფერზე უარი უთხრეს, დარაჯები დაუყენეს და პირდაპირ ეზრუმში უკრეს თავი. გზაში მათ დღეში ერთხელ აჭმევდენ. სპარსელებმა შიმშილი და დზრუმის ჰავა ვერ აიტანეს და დაავადმყოფდენ. მიუხედავად ამისა ვისაც კი შეეძლო ძალით აიუშავებდენ. როდესაც ავადმყოფობა მათში ძლიერ გახშირდა, ისინი ჩასვეს ვაგონში უკაპეიკოთ და უპატრონოდ თბილისში გამოგზავნეს აქ ისინი მშიერ- მწყურვალე ქუჩაში დაეყარენ და იხოცებოდენ, არც ბინის ფული, არც საჭმელ-სასმლის და არც ავადმყოფები საავადმყოფოებში მიიღეს. დიდი წვალების შემდეგ კონსულის თაოსნობით ისინი თავიანთ ქვეყნებში გაისტუმრეს.

აი ასე შეუბრალებლად და სასტიკად მოეპყრენ მოიჯარადრეები და თვით საზოგადოებაც შეუგნებელ სპარსელ მუშებს.

ბ. ოგ.

ჩვენი ებრაელებისა საუურადღებოთ.

ეს სამი წელიწადია რაც გაზეთის ფურცლებზე ვწერ, რომ არც ერთ ქვეყანაში ისე არარიან ებრაელები ჩამორჩენილნი, როგორც ჩამორჩენილნი არიან ქართველი ებრაელები. ჩვენში არ არის სწავლა-განათლება არც ებრაული, არც ქართული (თუ არ ვიანგარიშებთ რამდენიმე ათეულ მოწაფეებს და სტუდენტებს) ჩვენში არ არიან არც მწერლები, არც მხატვრები, არც ავტორიტეტები, რომლებსაც ჰქონდეთ უნარი სახალხო მოღვაწეობისა“... არა გვყვანდა თვალ-ყურ მამდენებელები საქ ებრაელების ცხოვრებისა, ვითარებისა, ეკანომიისა და პოლიტიკისა...

მართალია ჩვენშიაც არიან მოწაფე-სტუდენტები ჩვენი ებრაელებისა, მაგრამ არც, მათ და არც მათ მშობლებს არა აქვთ გათვალისწინებული საით და რისკენ უნდა იყვეს თვალყური მიქცეული.. გაშვებულნი თავის ნებაზე, მიშვებულნი სრულიათ სხვა და სხვა გზას, ეძებენ და ხანდახან იმისთანასაც კი, რომ სრულიად საწინააღმდეგოა. ამიტომ მოვითხოვთ, რომ ქართველი ებრაელებიც ცოტა გამოღვიძებულიყვენ და გარკვეულ გზას დასდგომოდენ... ამისთვის ვამბობდი, რომ „შეგვექმნა ერთი ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციას ყოლოდა ქ. ქუთაისში თავის მმართველები, რომელნიც ჩაუდგებოდენ საქართველოში ებრაელებს და თვალ-ყურს ადევნებდენ მათ საქმეებს შეასრულებდენ იმ გეგმას, რასაც მას ეტყოდა მთელი ორგანიზაციის შემუშავებული პროგრამა... პროგრამა კი შემუშავდებოდა არა ბაზოვისაგან და მის მოზრდილებიდან და არც მათი მოპირდაპირეებიდან, არამედ მთელი კრებიდან.., ამ-ნაირ ორგანიზაციას უფლება ექნებოდა გადაეწყვიტა მთელი ებრაელების სახელით, რაც საკითხი ყოფილიყო; გინდ ეკანომიური, გინდ კულტურული და გინდ პოლიტიკური. ჩვენ მათ გადაწყვეტილებას დაუმორჩილდებით, მხოლოთ ისიც გვეცოდინებოდა, ვინ იქნებოდა ხალხის ერთგული, სასარგებლო მოღვაწე და ვინ იქნებოდა მისი მოღალატე... ჩვენ ერთგულს დავაფასებდით, მოღალატეს კი უსაყვედურებდით... ამ-ნაირი მოვლენა შექმნიდა ჩვენში იმისთანა ავტორიტეტებს, რომლებიც იქნებოდენ ჩვენი, როგორც ებრაელების, ისე ქართველების მოსარგებლეები და ბედნიერების მომტანი. ამ სიმართლის თქმისთვის პატივცემულმა მკითხველებმა უკვე იციან რამდენი „მათრახი“ მომხვდა, ერთის მხრით ძველი ფანატიკოსებისგან, რომლებიც მაბეზღებდენ ებრაელების წინაშე, ვითომ „მე სჯულის წინააღმდეგ მივდიოდე“, მეორე მხრით ჩვენი სტუდენტებისგან, რომელნიც ქართველი ხალხის წინაშე მაბეზღებდენ, ვითომც ქართველებისაგან გათიშვა მსურდეს.

ვერც პირველნი და ვერც მეორენი ვერ იგნებენ სიმართლეს.

ამიტომ მე ჩემი აზრები ფართოო გამოვარკვიე და საშუალო გზა გავიკაჩინე; ეს გზა იყო, როგორც ებრაელური ისე ქართული ორივე უკიდურესებმა ჩემ წინააღმდეგ არა ღირსეული საშუალებაც კი იხმარეს. „ძალა ძლიერისა ყოველთვის იპყრობს სუსტის ძალას“ და ჩემი სიმართლეც დაჭმეს.

გადის დრო, შორიდან შევყურებ ჩემ მოპირდაპირეებს, ველი ეგვე რამე პროგრამა გამოაქვეყნონ და ის მეტი სასარგებლო იყოს ქართველებისთვინაც და ებრაელებისთვინაც მეთქი, მაგრამ, სამწუხაროთ, ვსტყუვდები... სტყუვდება ყველა. მათ არა აქვთ არაფერი პროგრამადა არც იციან რა სჭირია საბრალო ქართველ ებრაელებს. . ვერც გრძნობენ, არც ფიქრობენ თურმე და არც სწუხან... ეს რომ ასეა, აი შესაფერი მაგალითი, რომელიც გამოაჩენს ჩემს და მათ შორის მართალსა და მტყუანს:

პატივცემულ მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინეთ საერობო კრებაზე თ-დმა დ. ო. ნიჟარაძემ შეიტანა საბჭოში ჩვენი საკითხიც... თვისი საბუთიანი სიტყვებით დაარწმუნა კრება ქართულ ებრაელთა ისტორიულ უფლებაზე და მოითხოვა, რომ ჩვენც გვქონდეს სრული ხმა ერობაში; კრებამ ერთ-ხმად მიიღო თ-დი დ ნიჟარაძის წინადადება და აღიარეს სრული ჩვენი უფლება, მაგრამ საქმე აქ ხომ არ თავდებოდა? საჭირო იყო თუ არა პატრონობა? მეცადინობა მეფის ნაცვლის კანცელარიაში, ახსნა იმ მომხსენებლისთვის ვინც ამ საკითხს მეფის ნაცვლის საბჭოს წარუდგენდა?

მე, პირადათ, დიდათ დაინტერესებულიყავი მაგ საკითხით და ხშირათ ვეკითხებოდი ქუთაისის ებრაელების ეტმფროს კაცებს... ყველანი ერთ-ხმათ მეუბნებოდენ „საქმე კარგათ წავიდაო, ბევრი ვიშრომეთ და გავაკეთეთო“ უჯეროდი, ან რა საბუთი მქონდა არ დამეჯერებინა.

ამ თვის პირველ რიცხვებში შევხვდი ბ. თ-დ დ. ნიჟარაძეს ქ. თბილისში.. დიდი მწუხარებით გადმომცა რომ მის პეტროგრადში ყოფნის დროს მეფის ნაცვლის საბჭოს გაუკეთებია ცნობილი შენიშვნა „за исключеніемъ евреевъ“ და ამ-ნაირად საბჭოს დაუმაოხავს ჩვენი სამართლიანათ აღმდგარი უფლებები; ბ. ნიჟარაძეს არა ერთხელ გაუფრთხილებია ქუთაისის ებრაელები: „მე მივდივარ ქ. პეტროგრადში და მეფის ნაცვლის კანცელარიაში ყური ათხოვეთ, რომ მომხსენებელმა საქმე არ წაახდინოსო„, მაგრამ არამც თუ ყური არ უთხოვებიათ, ყურიც არ გაუნძრევიათ (გარდა არონ ელიგულაშვილისა და შიმშონ იაყობიშვილისა) არც კი დაინტერესებულან. საქმეც ასე დატრიალებულა და მოიხსენებელს წაუხდენია იმიტომ, რომ მას არ სცოდნია ქართველ ებრაელების ცხოვრების ისტორია.

ახლა ბრძანეთ, პატივ... მკითხველნო! ვის მოვკითხოთ... ...ტევებელი ცოდვა, ის გაუსწორ... ...ცდომა? ქუთაისის ებრაელების უ... ...ებს თუ სახელმწიფოებრივის?

აი, სწორეთ ამ თავში ...ამ, უნდა აგვიხილოს თვალები და ...ანახოს საქმე საჭიროა შეე...ება და ორგანიზაციის შექმნა. ჩვენ ...რომ ორგანიზაცია გქონოდა, ასე აბუჩად ვეღარ აგვიგდებდენ!

დაე, თუ კიდე დარჩენილა სადმე სინაოლე, ახლა მაინც შევიგნოთ, რომ ჩვენი არსებობა შეუძლებელია, თუ ჩვენ არ გვეყოლება ხალხის მიერ არჩეული მმართველობა, გამგეობა, რომელმაც უნდა იკისროს ჩვენი ხალხის ყოველი საკითხის ყურის-გდება და დროც შესაფერია!..

ბ. თ-დი ნიჟარაძის (და კიდე რამდენიმე პატივცემულნი პირის) სიტყვით „საპიროა მთელი ქართველი ებრაელების სახელით მეფის ნაცვალს მიერთვას პეტიცია და აეხსნას ის მოტივები, რაც გამოსთქვა კრებამ“... ამიტომ ჩვენ გადაწყვეტილათ ვოვითხოვთ ქუთაისის ებრაელების მეთაურებიდან (სახელდობრ არონ ელიგულაშვილიდან და შიმშონ იაყობიშვილიდან, რომელნიც ამ საქმეს უდგნენ მეთაურათ) დაუყონებლივ მოიწვიონ საქართველოს ყველა დაბებიდან ორ-ორი გამოჩენილი პირნი და თვით ბ. ნიჟარაძის მეთაურობით შემუშავდეს გეგმა. ის გეგმა მიენდოს ამორჩეულ გამგეობას და იმ გამგეობამ გააკეთოს ეს დიდებული საქმე. თუ შეიძლება ამ საქმის გამოკეთება მხოლოდ ამ გზით შეიძლება... დამალულათ კი რომ თითეულმა კაცმა იძახოს „მე ვაკეთებო“, ჩვენ მას ვეღარ ვენდობით, ჩვენ გვსურს მმართველობად ხალხის წინაშე პასუხის მგებელი... აგრეთვე ჩვენ მივმართავთ პატივცემულ თავად ბატონ დავით ოტიას ძე ნიჟარაძეს- მან დაიწყო დაუვიწყარი ისტორიული საძირკვლის ჩაყრა, მანვე უნდა დაამთავროს ეს ფრიადი საქმე, მან უნდა გვიჩვენოს გზა საქმიანობის და ჩვენც მის გეგმაზე უნდა მოვიქცეთ მან აღძრა საკითხი საბჭოში და მანვე უნდა შეასრულოს—გვიმახარობლოს მისი მოწინეგება. იგი იყო ბელადი ამ საქმისა და მანვე უნდა დააგვირგვინოს კიდეც ქართველი ერის საამაყოთ—და ჩვენ კი მის დიდებულ საქმეს არ დაუვიწყებთ, ოქროს ასოებით დავწერთ ჩვენს ისტორიაში მას...

ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს აგრეთვე ქართული მრეს(ც.*) დაე, იყოს საამაყოთ და სათქმელათ, რომ „ქართველათ, ერი ყოფილა ჩვენი დამფარველი არის და იქნება კიდეც“.. ჩვენცა ვყოფილვართ საქართველოს ერთგული მამულიშვილები—ვართ და ვიქნებით კიდეც“!..

ონის ებრაელების რაბინი დავით ბაზზოვი.

ქრონიკა.

თბილისი. საქართველოს ეგზარხოსი პლატონი პეტროგრადს მიემგზავრება ქართული ეკლესიის საქმეების გამო.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას დაღისტნიდან ატყობინებენ საზოგადოების რწმუნებული ბ ნი კ. კობახიძე, რომ ლაზისტანში დიდი გაჭირვებაა სურსათის უქონლობის გამო და მიუცილებლად საჭიროა გაიმართოს ხოფაში სიმინდის საწყობი, საიდანაც მცხოვრებ ხელმისაწვდომ ფასებში სიმინდი უნდა მივუიდით. იგივე ბ ნი კობახიძე იწერება, რომ სოფელ აბუილანის (ლაზისტანია) მცხოვრებნი გვთხოვენ დაუარსოთ მათ ქართული სკოლა.

— 27 დეკემბერს ხალხის ბრბო თავს დაეცა თუმანოვის ქუჩაზე მოთავსებულ ქალაქის სასურსათო დუქანს, დაამტვრია რკინის დარაბები, შეიჭრა დუქანში და შაქარი დაიტაცა. პოლიციის დახმარებით ზოგიერთს შაქარი ჩამოართვეს და საწყობში მიიტანეს. ბევრმა კი თავს უშველა.

— **ბათუმი.** 1—1 იანვარს აქ წერაკითხვის საზოგადოების ბათუმის განყოფილება ტრადიციულ საღამოს გამართავს. საზოგადოებამ მზადება დაიწყო.

— **დ. ლანჩხუთი.** საქონლის გამძვინვარებული ჭირი ცოტათი შემცირდა, რადგანაც უკვე გაანადგურა საქონელი. ხუთი მოსახლეში ერთ ოთფეხს თუ ნახავთ.

*) ჩვენის მხრით არასოდეს მეცადინობა არ დაგვიკლია, რომ ქართველ ისრაელებში შეგვეტანა შვენება თავისი ვინაობისა და ისტორიულ უფლება-მოსილებისა. ჩვენ ფართოდ გაუღეთ კარები ქართველ ისრაელთა მწერლებს და საშუალებას ვაძლევდით გამოთქვათ თავისი გულისნადები. ჩვენ არც დღეს მოვერიდებით „რავითარს საყვედურსა და მუქრებს ოღონც კი ქართველმა ისრაელებმა თვალები გაახილონ დაინახონ თავისი ტტერ-მოვვარენი, შეიგნონ თავისი მოვალეობა საქართველოს წინაშე და აღადგინონ თავისი უფლებანი,—როგორც შეილებმა ჩვენის ქვეყნისამ... ამაში ყველაზე მეტათ თვით ქართველი ისრაელები უნდა მოგვეხმარონ და ერთხელ და სამუდამოთ გ დასჭრან თავის ყოფნა—არ-ყოფნის საკითხი. ამიტომ არის, რომ ჩვენ ყველა ქართველი ისრაელ მწერალს სიამოვნებით ვუშვებდავთ ხოლმე ცოტად თუ ბევრად საყურადღებო წერილს. ეზრთა სხვადასხვაობა ქართველ- ისრაელ მწერლებისა ერთხელაც იქნება ჩამოყალიბდება ერთ-ერთ ძლევარ მიმართულებად და მაშინ ჩვენც ვიტყვით ჩვენს უკანასკნელ სიტყვას.

რედ.

— **კახეთ...** ...ცენახეთა საზოგადოება „კახეთის“ თ... ...ისის მუშაობა საზოგადოების გამგეობ... ...მოთხოვნილება წარუდგენს, რომელ... ...რაოდენიმე მუხლისაგან იყო შედგენილი. მოთხოვნილ... ...მიურე იყო, რომელთა შორის გამგეობის მომატებაც იყო. ...თვეს ულარით თქვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, რის გამო დილით გაიფიცენ, როგორც მთავარ კანტორის მუშა მოსამსახურენი, აგრეთვე განყოფილებისაც. გაიფიცა დაახლოვებით 90 კაცი და ქალი. გაფიცვა ერთ სულოვნად დაიწყო, ამის გამო ნახევარ საათის შემდეგ, გამგეობამ უკლებრივ დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნილებანი და მუშა მოსამსახურებმაც მუშაობა განაახლეს.

პროვინციის ცხოვრება.

— **დ. ძირულა.** არაკათ, რომ არის ნათქვამი ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო, ისე არის ბატ კორესპონდენტ „აქაურის“ საქმე, რომელიც ეხსენიებს გაზ. „საქართველოს“ №269 ძირულის წიგნთ-საცავ სამკითხველოს, მის საქმის მიმდინარეობას და მის გამგეობას, ვითომც და ხსენებული კულტურული დაწესებულება დიდის შეგვწროებას განიცდიდეს გამგეობის უნელმქმედობით და კიდეც გაეფლანგათ მათ ფული სამკითხველოს კი მტირე დროში დახურვა მოელისო. ვითომ მოდარე ერ. ებანოიძეს გამგეობისათვის არავითარი ანგარიში არ ჩაებარებინოს, ამას ჩვენ სიმართლეთ ვსცნობთ, რადგანაც ერ ებანოიძეს სრული სიმტკიცე აქვს დაცული და მასთან დიდი ლვაწლი და შრომა მიუძღვის სამკითხველოს წინაშე, რისთვისაც არ შურს უკანასკნელი თვისი ძალღონე მას შესწიროს, და კიდეც მადლობის ღირსია.

სამკითხველო ჯერ ჯერობით უგვლია წევრების მეცადინობით კარგ ნიადაგზე სდგას. კორესპონდენტი ბრძანებს სამკითხველო მტირე დროში დაიხურება, თუ ესლავე დახურული არ არის? მის წერილიდან კი სჩანს, რომ სამკითხველო უზრუნველეოფილია ყოველივე მხრით, რაც კი შეიძლება, ქონებისა, თუ აგვეგულობის მხრით.

ბატონ კორესპონდენტს ამა წერილით შემიძლია შემდეგი ვუცნობო:

თუ კეთილი აქვს რაიმე სადავო ხსენებულს ებანოიძესთან, შეუძლია გამოიწვიოს სადაც ჯერ არს და პასუხი აგებინოს, ხოლო რაც შეეხება სამკითხველოზე გულის ტკივილს ამოყრას, მას თავი უნდა გაანებოს. ხსენებული დაწესებულებისა საქმეების ნამდვილი მდგომარეობა გავიგოთ, ვსთხოვ უმორჩილესად ქარ. შ. წ. კ ბ ს. გამოგზავნოს თავისი რწმუნებული და კეთილმეზობელ სარეგიზიოთ მთელი მასალები სამკითხველოსი.

ბ ნ კორესპონდენტის მტკიცება, ვითომც ადგილობრივ სამრეველო ორ კლასიანს სიწავლებლის მასწავლებლების გულგრილობით სწავლა არა ნორმალურად იდგეს, მიუხედავათ ამისა, რომ ეს სასწავლებელი ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მთელ ზემო იმერეთში რასაც ნათლად ჰმოწმობს სარეგიზიო წიგნებში მეთვალყურეთა რეზოლიუციები.

გამგეობის წევრი დავით ახრახაძე.

რუსეთი.

მინისტრთა უმრავლობა ტრეპოვის მხარეზე ყოფილა.

— პეტროგრადში, ვიდრე ცვლილებანი მოხდებოდა ყველა დარწმუნებული ყოფილა, რომ პრემიერობას პროტოპოპოვს ჩაბარებდნენ.

— საერთო საქმეების დეპარტამენტის უფროსმა ამას წინად დუელში გაიწვია გაზ. „გოლოს როსსი-“ ის რედაქტორი თ-დი მ. მ. ანდრონიკოვი. ამ გაზეთში რამდენიმე ხნის წინად მოთავსდა ერთ წერილი, რომელშიაც იყო მოყოლილი, რომ ომის დაწყებამდი კურლანდიის ერთი მოსაზღვრე გუბერნიის უფროსი ხშირად გადადიოდა თურმე აღმოსავლეთ აპრუსიაში და იმპერატორ ვილჰელმის ძველებური ციხე დარბაზს ესტუმრებოდა ხოლმე. ერთხელ ამ უფროსმა კრონპრინცაც მოიწვია თავისას და ცნობილ „ავგუსტოვის ტყეებში ნადირობა გაუმართა, რომლის დროსაც თურმე გერმანეთის მეფის წულს ადგილ მდებარეობა გადაუხაზავს.

როგორც ვიცით შემდეგში ეს გადაღებული გეგმები გერმანელებმა კარგად გამოიყენეს აღმოსავლეთ პრუსიიდან ოთხივე შემოტევის დროს.

ეროვნული საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

„საქართველო“

1917 წ. წელიწადი მეოთხე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპოდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე,	რ. გაბაშვილი,	ზ. ედილი,	პ. კარგელაშვილი,	Legatus,	მელანია,	შ. ქარუშიძე,	პროფ. ა. ცაგარელი
ი. აბულაძე,	განდეგილი,	ი. ვართაგავა,	დ. ბ. ქარიგაშვილი,	ეპისკ. ლეონიდე,	შ. მღვიმელი,	ს. ქვარიანი,	აპ. წულაძე,
დ. არონიშიძე,	გ. გვაზავა,	გრ. ვეშაპელი,	დ. კასრაძე,	ი. ლოლაძიფანიძე,	ნიკო ნიკოლაძე,	გ. ქიქოძე,	დ. ჭიაბარიშვილი,
ა. ასათიანი,	ს. გოგრაძე,	ეძ. თაყაიშვილი,	ფ. კახელი,	ნ. ლოლაძიფანიძე,	გ. ჟორდანია,	ნ. უიფიანისა,	ზ. ჭიჭინაძე,
ალ. ახმეტელი,	გ. გოგოლეზიანი,	ინ-ბანი,	ს. კედია,	ტ. მარგველაშვილი	გრ. რობაქიძე,	სვ. ყიფიანი,	სტ. ჯრელაშვილი,
ვ. ბარნოვი,	ვ. გუნია,	პ. ინგოროყვა,	ლეკ. კ. კეკელიძე,	კ. მაყაშვილი,	თედო სახოკია,	გ. ყიფშიძე,	მ. ჯანაშვილი,
ეკ. გაბაშვილისა,	შალვა დადიანი,	ჩ. კაპანაძე,	ნ. კურდღელიშვ.,	ი. მაჭავარიანი,	ტ. ტაბიძე,	მიხ. შალამბერიძე,	ლ. ჯაფარიძე,
				დუტუ მეგრელი,	ი. ფერაძე,	ვ. შალიკაშვილი,	სამხედრო მიმ. გ. X.

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან აქნება ნაწილ-ნაწილ შეკვრაში. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან. პირველ მარტისათვის 5 მან და პირველ ივნისისათვის 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღია: დილით 9—3 ს-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის, თ. ფ ვოლკონსკის 21 დეკემბერს უთხოვნია თანამდებობიდან გაენთავისუფლებიათ.

— ვიდრე ცვლილებანი მოხდებოდა მინისტრთა შორის, ტრეპოვს, პოკროვსკისა, ბარკსა და რიტტიხს მეფისათვის განუცხადებიათ: საზოგადოების დასაწყნარებლად ერთად ერთი საშუალება პროტოპოპოვის დათხოვნაო.

— პრემიერობა პოკროვსკისათვისაც შეუთავაზებიათ, მაგრამ მასაც პროტოპოპოვის გადაყენება აუცილებელ საჭიროებად ულიარებია და, რაკი ამას არ დათანხმებიან, პრემიერობაზე უარი განუცხადებია მას.

— ტრეპოვის გადადგომის მიზეზად ის ყოფილა, რომ მას შეუძლებლად უცვნია პროტოპოპოვთან ერთად მუშაობა და ამავე დროს სახ. სათათბიროსთან მეგობრიულ განწყობილებაში ყოფნა.

დობროკოლსკის სიტყვით მანასევიჩ მანუილოვის საქმე საბოლოოდ მოსპობილი ყოფილა.

— მოსკოვში დაიწყო სრულიად რუსეთის სიტყვიერების მასწავლებელთა ყრილობის კრებები, ყრილობას 1500 წევრი დაესწრო.

— ერთ დანიურ ფირმას წინადადება მიუცია ცომბირის ქალაქებისათვის ყიდონიაპონიის შაქარი. ფირმა 100 ათას ფუთ შაქარს დაჰპირებია.

— რამდენიმე მემარჯვენულ გაზეთმა მთავრობის უკმაყოფილება დაიმსახურა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო უფროსებისთვის ბრძანება დაუგზავნია, რომ სასოფლო, საზოგადოებებს ძალა არ დაატანონ გაზეთების „რუსკოე ზნამიასა“, „გოლოს რუსისა“ „ზემოშჩინა-“ს გამოწერაში.

უცხოეთი.

გერმანეთის სოციალდემოკრატებს ბოლო დროს ერთი დიდი ნაწილი გამოეყო და თავისი საკუთარი ორგანო დაიარსა.

— ავსტრიის რეიხსტაგის მოწვევა თებერვლის პირველ დღეებისათვის ყოფილა დანიშნული.

— ინგლის-ნორვეგიის დამოკიდებულება წინანდებურად გამწვავდა. ნორვეგიამ პირველმა დაარღვია ინგლის-ნორვეგიის სავაჭრო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი. და ინგლისში თევზის გზავნა აღკრძალეს! ამის საპასუხოდ ინგლისმა ნორვეგიაში ქვანახშირი აღარ გაუშვა.

— შეერთებულ შტატების ზედა პალატამ დიდი კამათის შემდეგ მხარი დაუჭირა ვილსონის საზავო წინადადებას და მისი პოლიტიკა მოიწონა.

— ნორვეგიამ თავისი ფლოტი უკანასკნელ წლეებში ერთი ორად გააძლიერა.

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

გეგია მ. მ. ლოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფიდიშოვის მადაზიის პირდაპირ.

ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გადმა გოშმიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ ქაშიას,** რომელმაც შე მომარჩინა ბოგში უაპერაციოთ.

ვარლამ ხუჯაძე.

საჭიროა ბინა 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომიის კანცელარია. მისამართი: აბორინის შესახვევი მთავრობის და ერობის აგრონომის კანცელარია.

ᲕᲧᲘᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ:

შავქლიავს	1,60—1,80	კაპ. გირვ.
ყურძენს	1,50—1,60	„ „
ბიას გამშრალს	——1,20	„ „
ახალ ლობიოს გამშრალს	1 მან.	„

სარაჯევის ქუჩა საკ. სახლი. იოსებ კაკაბაძე

ექიმი ა. დ. მაჭავარიანი (ოფიციალი უფროსი ექიმი სმეტკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.

დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ სახლი და მამული 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით.

მიწა 350 კვ. საჟ. ქუთაისში ჰუშეინის ქ., № 10. ბირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეიდის ქ. № 113,

ეძიმ გოკიელოვს.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს

მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

ტელეფონი № 183.



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს.	25 წ
„	— საღამ.	— 8 ს.	50 „
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს.	40 „
„	— ღამის	— 2 ს.	20 „
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	25 „
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	00 „
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	— „
„	— ღამის	— 12 ს.	15 „
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს.	3 „
„	— დილის	— 5 ს.	55 „
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს.	13 „
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს.	18 „

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

ორ-კვირეულ სამეურნეო, საოჯახო და საზოგადოებ. ჟურნალ

„სასოფლო გაზეთზე“

მოგვავალი წლიდან ჟურნალი გამოვა უფრო ვრცელი პროგრამით.

ჟურნალის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენში მეურნეობის განვითარებას და შეძლებისადაგვარად დაეხმაროს სოფლის ეკონომიურ, კულტურულ და გონებრივად წინსვლას, ლიტერატურულ და სხვა ამხანაგობათა მნიშვნელობის ახსნა განმარტებას.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით—4 მან., ნახევარი წლით—2 მან., ერთი თვით—2 აბაზი. ცალკე ნომერი ერთი აბაზი.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიაში; ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Сельско-хозяйственная школа, Александру Давидовичу Шарашидзе, для „Сасопло газети“. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია იმყოფება ქ. ქუთაისის სამეურნეო სკოლის შენობაში.

V V. **მიიღება ხელის მოწერა** 1917 **წლისათვის** V V.

სათეატრო, სალიტერატურო, სამხატვრო

კვირეული ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“, ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ბ. ლომთათიძის (სვ. მგირიშვილის) „რჩეული ანბანი“, ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲘ: ᲛᲝᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ—15 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ 9 ᲛᲐᲜ., ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ 5 ᲛᲐᲜ., ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ 1 Მ. 80 Კ.

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲠᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲐᲠᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან აქნება ნაწილ-ნაწილ შეკვრაში. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ 7 ᲛᲐᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 5 ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 3 ᲛᲐᲜ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღია: დილით 9—3 ს-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲐ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.

წელიწადი იანვარიშვილა იანვრის პირველიდან. ფული ამ თვეთვე უნდა გამოგზავნოს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ., თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1 მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2 მ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყური). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲐᲜᲜᲐ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

ცხოვრებაზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ, რომანოზ ს[illegible]ს რედაქტორობით, ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერ[illegible]ები (წელიწადი მეხუთე). ჟურნალი ღირება წლიურათ 6 მან., ნახევარ[illegible] 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის [illegible]ს ფულის გადახდა ნაწილნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს [illegible]რველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ [illegible]новy Спиридоновичу Панцхава.

უკაცობა და ნევრასთენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნალო საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შამერზაშვლს** საფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწოწებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაკტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაკტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ᲮᲠᲣᲚᲘ.** ქ. ოდესა.